

ოქმი № 5

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სხდომის

2019 წელი, 22 თებერვალი

ქ.ოზურგეთი

14.00-15.00 საათი

თავმჯდომარეობდა: გ.კილაძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ.ორაგველიძე , ჯ.თავართქილაძე, ბ.თოიძე, თ.ტულუში, ვლ.ჩავლეშვილი, ლ.მგელაძე, ლ.კილაძე, დ.ჭაკნელიძე .

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის 2018 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს: გ.კილაძე

თანამომხს: ალ მამეშვილი

კომისიის წევრებმა მოისმინეს და იმსჯელეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის 2018 წელში გაწეული მუშაობის შესახებ“ სამსახურის უფროსის ალ.მამეშვილის ანგარიში. აღინიშნა, რომ სამსახურმა საკრებულოს შესაბამის კომისიასთან შეთანხმებული მუშაობით მნიშვნელოვანი წარმატებებს მიაღწია მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ განვითარებაში, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდის, მეთხილეობის განვითარებისა და სხვადასხვა სამთავრობო პროგრამების განხორციელებაში. ხაზი გაესვა სტევის კულტურის პოპულარიზაციის აუცილებლობას, საუბარი იყო მოსახლეობაში გაწეულ ფართო საცნობარო-საგანმანათლებლო მუშაობაზე, ქალ მეწარმეთა ეკონომიკურ ფორუმზე, ტურისტულ პროგრამაზე-

„გურიის ჩაის გზა“ და მის მოსალოდნელ შედეგებზე, კურორტ ნასაკირალის რეაბილიტაციაზე, მევენახეობის განვითარებაზე და სხვა. განხილული იქნა ყველა განყოფილების მიერ გაწეული საქმიანობა. აღინიშნა, რომ მეტი მუშაობა უნდა გასწიოს საინვესტიციო განყოფილებამ. კომისიის წევრებმა დამაკმაყოფილებლად შეაფასეს სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობა.

გადაწვდის:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის 2018 წელში გაწეული მუშაობის ანგარიში შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

გოჩა კილაძე



კომისიის თავმჯდომარე
აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია